აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2026 წლის 22 მაისის №16 ბრძანებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ბათუმი

2026 წლის 17 ივნისი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (შემდგომ - უსკო) თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომ - საკონკურსო კომისია) შეიკრიბა 2026 წლის 17 ივნისს 13:00 საათზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ბათუმი, ლუკა ასათიანის №37).

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდა საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობა, კერძოდ:

- როინ მალაყმაძე
- ლევან ჯაყელი
- თამარ სირაძე
- ირაკლი ქუთათელაძე
- ვაჟა ცეცხლაძე

დღის წესრიგი

1. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არჩევა.
2. უსკოს თავმჯდომარეობის კანდიდატის შერჩევა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის წარდგენა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 141-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონკურსო კომისიამ, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად (მომხრე - საკონკურსო კომისიის 5 წევრი) აირჩია საკონკურსო კომისიის წევრი - ლევან ჯაყელი.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ საკონკურსო კომისიის წევრებს განუმარტა, რომ უსკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე განაცხადი წარადგინა 2-მა პირმა: მარიამი გუგუნავამ და პაატა კეშელავამ.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 141-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების გათვალისწინებით, საკონკურსო კომისიამ, უნდა შეარჩიოს და უმაღლესი საბჭოსათვის ასარჩევად წარდგენის მიზნით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგინოს უსკოს თავმჯდომარეობის ერთი კანდიდატი.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს/შეაფასეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ წარმოდგენილი განაცხადები და სხვა შესაბამისი საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვის/შეფასების შემდგომ, უსკოს თავმჯდომარეობის კანდიდატის შერჩევის მიზნით გაიმართა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

1. მარიამი გუგუნავა
   მომხრე - 0
   წინააღმდეგი - 5

2. პაატა კეშელავა
   მომხრე - 5
   წინააღმდეგი - 0

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 141-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული კონკურსში მონაწილე თითოეულ პირთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის ან მათ მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია თან ერთვის ოქმს, რომელიც ოქმის განუყოფელი ნაწილია.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ საკონკურსო კომისიას მოახსენა კენჭისყრის შემაჯამებელი (საბოლოო) შედეგები:

უსკოს თავმჯდომარეობის კანდიდატად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის ასარჩევად წარდგენის მიზნით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს წარედგინოს:

პაატა კეშელავა

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ლევან ჯაყელი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე
2. როინ მალაყმაძე
3. თამარ სირაძე
4. ირაკლი ქუთათელაძე
5. ვაჟა ცეცხლაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი
საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის დანართი
17.06.2026

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

ლევან ჯაყელი - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	მარიამი გუგუნავა	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ სრულად არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია. კანდიდატის გამოცდილება ძირითადად მოიცავს საარჩევნო კომისიის წევრისა და დამკვირვებლის ფუნქციების შესრულებას. ვინაიდან უსკოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, საარჩევნო ფუნქციების გარდა, პირდაპირ უკავშირდება საჯარო უწყების ადმინისტრაციულ მენეჯმენტსა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას, კანდიდატის პორტფოლიოში ხელმძღვანელობით პოზიციებზე საქმიანობის გამოცდილების არარსებობა წარმოადგენს მხარდაჭერაზე უარის თქმის საფუძველს.
2	პაატა კეშელავა	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მის უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენს მისი სიღრმისეული, თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია კონსტიტუციური სამართლისა და სამართალშემოქმედების მიმართულებით. აღსანიშნავია მისი წარჩინების დიპლომი ბსუ-დან და ასპირანტურა თსუ-ში. აჭარის უმაღლესი საბჭოს იურიდიული კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელობა (2007 წლიდან დღემდე) ადასტურებს, რომ

			კანდიდატი უმაღლეს დონეზე ფლობს რეგიონის საკანონმდებლო ბაზის ფორმირებისა და საჯარო ინსტიტუტების სამართლებრივი უზრუნველყოფის უნარებს, რაც კრიტიკულია უსკოს დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად. ამასთანავე, განსაკუთრებით ხაზგასასმელია საარჩევნო პროცესის პრაქტიკულად ყველა საფეხურზე დაგროვილი მრავალმხრივი გამოცდილება. საარჩევნო იერარქიის ქვედა და საშუალო რგოლების (უბნებისა და ოლქების) სპეციფიკის ასეთი საფუძვლიანი ცოდნა იძლევა იმის მყარ გარანტიას, რომ კანდიდატი წარმატებით უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესების ეფექტურ მართვასა და შესაძლო საორგანიზაციო კრიზისების პრევენციას.

ლევან ჯაყელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი
საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის დანართი
17.06.2026

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

ირაკლი ქუთათელაძე - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	მარიამი გუგუნავა	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ქალბატონ მარიამს აქვს საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსით მუშაობის კარგი პრაქტიკა, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის თავმჯდომარეობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ლიდერობის, სტრუქტურული მენეჯმენტისა და საორგანიზაციო კრიზისების მართვის პრაქტიკული სტაჟი, რაც მოცემულ ეტაპზე კანდიდატის შრომითი ბიოგრაფიით არ იკვეთება.
2	პაატა კეშელავა	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მას გააჩნია უწყვეტი მენეჯერული საქმიანობის მყარი პორტფოლიო, რაც გამოიხატება 2007 წლიდან დღემდე უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელობაში. ეს მმართველობითი ბაზისი მას აძლევს უნიკალურ უპირატესობას, ეფექტიანად მართოს უსკოს ინსტიტუციური რეფორმები. ამასთანავე, იგი არის საარჩევნო ადმინისტრაციის სერტიფიცირებული მოხელე და ტრენერი საარჩევნო ელექტრონული

			ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც მოახლოებული საარჩევნო ციკლის საორგანიზაციოდ გადამწყვეტ კომპონენტს წარმოადგენს. საარჩევნო ადმინისტრაციის ფაქტობრივად ყველა იერარქიულ დონეზე მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა იძლევა იმის დასკვნის მყარ საფუძველს, რომ აღნიშნული სფერო მისი პროფესიული საქმიანობის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

ირაკლი ქუთათელაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი
საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის დანართი
17.06.2026

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

ვაჟა ცეცხლაძე - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	მარიამი გუგუნავა	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ქალბატონ მარიამს აქვს საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსით მუშაობის კარგი პრაქტიკა, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის თავმჯდომარეობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ლიდერობის, სტრუქტურული მენეჯმენტისა და საორგანიზაციო კრიზისების მართვის პრაქტიკული სტაჟი, რაც მოცემულ ეტაპზე კანდიდატის შრომითი ბიოგრაფიით არ იკვეთება.
2	პაატა კეშელავა	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პაატა კეშელავას უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენს მისი მრავალწლიანი უწყვეტი მენეჯერული სტაჟი საჯარო სამსახურში. კერძოდ, აჭარის უმაღლესი საბჭოს იურიდიული კომიტეტის აპარატის უფროსის თანამდებობაზე 2007 წლიდან დღემდე, რაც საჯარო უწყების მართვისა და სამართლებრივი პროცესების უზადო ადმინისტრირების გარანტიაა. აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური იურიდიული განათლებაც - წარჩინების დიპლომი ბსუ-დან და ასპირანტურა თსუ-

			ში კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება.

ვაჟა ცეცხლაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი
საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის დანართი
17.06.2026

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

როინ მალაყმაძე - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	მარიამი გუგუნავა	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს კანდიდატის აქტივობას საარჩევნო პროცესებში, თუმცა საარჩევნო ორგანოს ხელმძღვანელის ამპლუა მოითხოვს მასშტაბური, სისტემური პროექტების მართვისა და ადმინისტრაციული გუნდის ლიდერობის გამოცდილებას. კანდიდატის შრომით საქმიანობაში მენეჯერული და საორგანიზაციო მიმართულებით პრაქტიკული სტაჟის არარსებობის გამო, ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მივიჩნევ მის ნომინირებას.
2	პაატა კეშელავა	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მის სასარგებლოდ მეტყველებს ძალიან მდიდარი პრაქტიკული საარჩევნო სტაჟი. 2004 წლიდან მოყოლებული, მან საარჩევნო ადმინისტრაციაში გაიარა მრავალი საფეხური: იყო საუბნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, უბნის თავმჯდომარე, სპეციალური ჯგუფის ხელმძღვანელი (პროგრამა „კარდაკარი“),

			ასევე ცესკოს, უსკოსა და საოლქო კომისიების ოფიციალური წარმომადგენელი. საარჩევნო პროცესის ასეთი ფუნდამენტური, უშუალო ცოდნა უბნისა და ოლქის დონეზე, უზრუნველყოფს ნებისმიერი საორგანიზაციო კრიზისის ეფექტურ პრევენციას.

როინ მალაყმაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი
საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის დანართი
17.06.2026

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მხარდაჭერის/მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია

თამარ სირაძე - საკონკურსო კომისიის წევრი			
№	კანდიდატის სახელი, გვარი	საკონკურსო კომისიის წევრის პოზიცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის კანდიდატის წარდგენის თაობაზე	კანდიდატის მხარდაჭერის ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის მოტივაცია
1	მარიამი გუგუნავა	არ წარედგინოს	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი არის უსკოს მოქმედი წევრი და ფლობს საჯარო სამართლის მაგისტრის ხარისხს, წარმოდგენილი ბიოგრაფიული მასალებით არ დასტურდება საჯარო სამსახურში ან სახელმწიფო სტრუქტურებში სტრუქტურული ქვედანაყოფის/აპარატის ხელმძღვანელობისა და ფართომასშტაბიანი ადმინისტრაციული მართვის გამოცდილება. უსკოს თავმჯდომარის პოზიცია კი, თავისი სპეციფიკით, უპირველესად გულისხმობს მთლიანი უწყების აპარატის მენეჯერულ ხელმძღვანელობასა და ადამიანური რესურსების ყოველდღიურ ადმინისტრირებას.
2	პაატა კეშელავა	წარედგინოს	კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მის სასარგებლოდ მეტყველებს მისი თანმიმდევრული კარიერული ზრდა და სახელმწიფო სტრუქტურის ქვედანაყოფის უწყვეტი მენეჯერული ხელმძღვანელობის თითქმის ოცწლიანი სტაჟი. აპარატის წამყვანი და მთავარი სპეციალისტის პოზიციებიდან აპარატის უფროსის თანამდებობამდე განვლილი გზა ადასტურებს მის უმაღლეს

			ადმინისტრაციულ კომპეტენციას, ადამიანური რესურსების მართვის, საქმისწარმოების ორგანიზებისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ფართო გამოცდილებას. ამავდროულად, უსკოს სპეციფიკიდან გამომდინარე, გადამწყვეტ უპირატესობას წარმოადგენს მისი მრავალწლიანი და მრავალმხრივი პრაქტიკული გამოცდილება საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლში.

თამარ სირაძე